

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 31 დეკემბერი, 2004 წელი, №311 (860)

ფასი 50 თეთრი

გაზეთის შემდგომი ნომერი გამოვა 2005 წლის 5 იანვარს

საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე, "24 საათი" აქვეყნებს იმ იურიდიული პირების სიას, რომლებმაც 1992-1993 წლებში დიდი მოცულობის კრედიტები აიღეს. ეს არის ის სია, რომელიც პარლამენტის მომხსენებელმა ჯგუფმა შეადგინა. ამ სიაში შესულია ყველა - კრედიტის მიზნობრივად გამომყენებელიც და კრედიტმაცემებელიც.

B4-B5

„ფლვანი ვაშენებთ გემს“



„სამწუხაროდ, თბილისის მერია ლონდონის მერია არ არის, სადაც ყველა ჩინოვნი ადეკვატურად მუშაობს. რა თქმა უნდა, განვილო წელს მეტის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ჩვენ, ფაქტობრივად, ზღვაში ვაშენებთ გემს“ - ამბობს თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

A2

წლის მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონიკა



A3-A6

მსოფლიო 2004 წელს




A8

ანიონი

| | 31/12 | 1/1 |
|---------|-------|------|
| თბილისი | 13 ☁ | 13 ☁ |
| ქუთაისი | 16 ☁ | 16 ☁ |
| ბათუმი | 19 ☁ | 18 ☁ |
| სოხუმი | 14 ☁ | 14 ☁ |
| ჯორჯია | 17 ☁ | 17 ☁ |
| თელავი | 13 ☁ | 13 ☁ |
| ზუგდიდი | 16 ☁ | 16 ☁ |
| გორი | 12 ☁ | 11 ☁ |
| ახმეტა | 13 ☁ | 12 ☁ |
| ქიათურა | 13 ☁ | 13 ☁ |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|-----------------|--------|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.4805 |
| გირვანქა სტერლი | 3.5104 |
| რუბლი | 0.0656 |



ცხელი სია

ათეულეზად დაყოფილი 2004

არიან ადამიანები, რომლებიც სერიოზულად განიცდიან იმას, რომ ბრიტნი სპირსი ცოლშვილიან კაცს გაჰყვა ცოლად, ანდა იმას, რომ "სექსი დიდ ქალაქში" ტელეეთერიდან მოიხსნა. ასეთი ადამიანები წინდანინვე ნერვიულობენ ჯენიფერ ლოპესზე, რადგან, მისი მერყევი ხასიათიდან გამომდინარე, არ იციან, შერჩება თუ არა ტემპერამენტიანი სამხრეთელი ვარსკვლავი თავის მორიგ სიყვარულს 8-9 თვეს მაინც...

რა გამოდის? ასეთი ადამიანები ქრონიკული ალგზნებულობისა და შემოფოტების ფონზე ატარებენ ცხოვრებას და სტაბილურობის შეგრძნებას ვერასდროს აღწევენ. თუმცა, როგორც "ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველი ჯეფ პერლმანი გვარწმუნებს, მათთვისაც მოიძებნება ხსნა. ხსნა სიაშია. მუდმივად ცვალებად, გიჟურ მსოფლიოში ყოველი წლის ბოლოს შედგენილი სია ის ლაკონურად ჩამოყალიბებული სტაბილურობაა, რომელიც ალგზნებას ხსნის და დანომრილი მოვლენების მშვიდად მიღებაში ეხმარება ადამიანებს.

პერლმანი იმასაც შენიშნავს, რომ ასეთი სია ჩვენს ცხოვრებას უხსოვარი დროიდან თან სდევს. "უფრო ზუსტად კი, ჩვენ-აღმდეგ მესამე საუკუნიდან, როცა ღმერთმა მოსეს გადასცა სია. როგორც ისტორიკოსები აცხადებენ, ეს პირველი მაგალითია დღეს ასე კარგად განვითარებული ჟანრიდან", - დასძენს ჟურნალისტი.

ჟანრი კი, იოლად ალგზნებადი ადამიანების გულის გასახარად, მართლაც სრულყოფილად არის განვითარებული. წლის ბოლოს შედგენილი ნუსხები რა თემატიკას აღარ მოიცავს! გაეცანით თუნდაც ჩვენ სიას, რომელშიც მოცემულია, თუ რა თემატიკის სიებს გვთავაზობენ სხვადასხვა ბეჭდვითი თუ ელექტრონული გამოცემები:

"სალონი" - "წელიწადის ყველაზე უარესი სექსი";

El - "საუკეთესო უარესად ჩაცმული ადამიანები";

"რეალითი ბლარდ" - რეალიტი-ტივის მექავთა ექვსეული;

"სი ენ ენ"-ი - წლის აკრძალული რეკლამები;

Film Threat - "პოლიუდის ყველაზე ცივი ადამიანები";

"გარდინანი" - "ათი ყველაზე ლამაზი ალბომის გარეკანი".

როგორც თავადაც დარწმუნდით, თემატიკა მართლაც იმდენად უაზროა, რომ საკითხი შეიძლება ასეც დავსვათ - ცუდები და უარესები; სულელურები და უფრო სულელურები; თითქმის გამონოვლები და კიდევ უფრო თითქმის გამონოვლები.

თუმცა, გაღიზიანებას ისევ ამ სიებზე გართობა ჯობს. თუ ასე გადაწყვიტეთ, მაშინ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ცნობილმა ამერიკელმა ტელეჟურნალისტმა ბარბარა უოლტერსმა წლის ყველაზე შესანიშნავი ნიუსმეიკერების სია შემოგვთავაზა. თამაშების ჟურნალმა Games Quarterly Magazine - წლის საუკეთესო დაფ-

ის თამაშების ჩამონათვალი. ჟურნალმა People კი მოდაზე გააკეთა აქცენტი და წლის საუკეთესო კაბებით დააკომპლექტა თავისი ერთ-ერთი სია (ნუსხები People-ს რიგით ნომრებშიც ბევრი აქვს, წლის ბოლოს კი - სულაც უთვალავი).

თუმცა, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი სიები, არც საუკეთესო კაბების სია გვთავაზობდა რაიმე ორიგინალურს და რეალურად გასართობს. ფოტოებზე მხოლოდ ჯენიფერ ლოპესისა და შარლიზ თერონის მსგავსი - უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელი ქალები ეხატა, რომელთაც ბარბის სტილის, არაფრით გამორჩეული კაბები ეცვათ და უფრო მიმზიდველები და სასურველები იყვნენ, ვიდრე მათი სამოსი.

People-ის შემდეგი სია გახლავთ "წლის ადამიანები". ჟურნალის არჩევანი ამ შემთხვევაშიც "შოკის მომგვრელი" აღმოჩნდა: ჯულია რობერტსი, დები მერიკეტი და ემილი ოლსენები. ეს ხომ წლის ის ადამიანები არიან, რომლებიც People-ის წინა წლების ნუსხებშიც შედიოდნენ. თუმცა, ჟურნალისტთა ირონიას გამოცემის რედაქტორი იმით ხსნის, რომ "ორიგინალურობა სიის ამოსავალი წერტილი სულაც არ გახლავთ".

თუმცა, საინტერესოები წლის ბოლოს შედგენილი სიებს ხანდახან მაინც გამოერევიან ხოლმე. მაგალითად, ასეთია "სთარის" "2004 წლის ყველაზე მომაბეზრებელი ადამიანების" ჩამონათვალი. თავისთავად, ორიგინალური არაფერია იმაში, რომ ამ სიაში ბრიტნი სპირსი და პერიზ ჰილტონი ლიდერობენ, მაგრამ აკურატული მაინც არის და ფაქტებს არ ამახინჯებს!

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, თუ ამ სიების მიხედვით ვიმსჯელებთ, ბრიტნი სპირსი წლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანია. "სთარის" გარდა, ის ჟურნალ "აქსეზ პოლიუდის" გარეკანსაც ამშვენებს, როგორც წლის ყველაზე უკომფორტო ჩაცმული ვარსკვლავი და People-საც - როგორც წლის ადამიანი.

ჟურნალებით, რომლებიც ზემოთ დავასახელებთ, შეიძლება ერთი დასკვნაც გავაკეთოთ: სიები, ძირითადად, ყვითელი პრესის გატაცებაა. თუმცა, წლის ბოლოს საერთო ჟურნალისტურ მანიას ვერც სოლიდური გამოცემები აღწევენ თავს. განსხვავება ისაა, რომ მათი ჩამონათვალი უფრო მაღალკვალიფიციურად მომზადებული და სერიოზული თემატიკისაა. მაგალითად, "ფილადელფია უიქლი". მისი მენეჯერ-რედაქტორი ბრაიან ჰიქი წლის ბოლოს შედგენილი სიის მნიშვნელობას ნახევრად ხუმრობით ასე ხსნის: "საგამომცემლო საქმეში სიას უდიდესი მისია აკისრია. სადღესასწაულო სეზონზე ის რედაქციის თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, დროულად მორჩნენ მუშაობას. ნუსხის შედგენა იოლია - არც ინტერვიუ გჭირდე-

ბა, საკმარისია, საკუთარი გაზეთის არქივს გადახედო და რალაციები მოიწიწო. ხოლო კითხვას - შეიძლება თუ არა სიამ სოციალური ბარომეტრის ფუნქცია იკისროს, ჰიქი ასე პასუხობს: "სია ნამდვილად არის ბარომეტრი იმის გასაზომად, თუ რა ეჩვენება რედაქციის ხუთიოდე თანამშრომელს მნიშვნელოვნად".

ამ თეორიონიის მიუხედავად, წლის ბოლოს სიები მაინც დგება. ასეთიც და ისეთიც. უაზროც, ყვითელიც, არაფრისმთქმელიც და მეტ-ნაკლებად სერიოზულიც, როგორც, მაგალითად, ეს ნუსხებია: 2004 წლის ათი საუკეთესო ფილმი; მუსიკალური ალბომი; დიზაინერი; სპორტსმენი; ავტომობილი...

ცხადია, ამ შემთხვევაშიც, სუბიექტური მიდგომისგან თავს ვერაფერ იზღვევს. მაგრამ შობა-ახალი წლის დღესასწაულის დროს მკითხველი მათ მაინც გაღიზიანების გარეშე იღებს. ალბათ, იმიტომაც, რომ გასართობად მომართულ გონებას უფრო მეტი ანალიტიკის შეთვისება არც სურს. სია კი შესანიშნავი გამოსავალია. დანომრილი ფაქტები და მოვლენები მოგონებებს აღძრავს და მკითხველს სალაპარაკო თემას აძლევს.

ასე რომ, 2004 წელიც სიებით იწურება. გაზეთების ტირაჟი კი სწორედ ამ სიების მიხედვით დგინდება. საუკეთესო ნუსხების გამოა, რომ "სთარი", People-ი და დანარჩენები პრესის სტენდებიდან ელვის სისწრაფით ქრება. ჩვენც ისლა დავგრჩენია, ბოლო სიტყვა People-ს გადავცეთ და მისი სიებიდან რამდენიმე "ამონარიდი" შემოგთავაზოთ:

"წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცები" - ამ სფეროში პირველობს ჯუდ ლოუ - პოპულარული ბრიტანელი მსახიობი, რომელიც ცოლთან განქორწინების შემდეგ მრავალი ქალის ოცნება გახდა. მეორე ადგილზე დაკუნთული შაკანიანი მომღერალი ამერიკა - ბოლო ალბომის 7-მილიონიანი გაყიდვის მაჩვენებლით.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ "წლის ადამიანების სიას", მას სათავეში უდგას ცოლ-ქმარი - ბრედ პიტი და ჯენიფერ ანისტონი. მეორე ადგილზეა ახალბედა მსახიობი ლინდსი ლოენი, რომელსაც რამდენიმე ხნის წინ "ემ ტივი"-ს კინოდაჯილდოების ცერემონიალის გაძლოლაც ანდეს. მესამეზეა - ჯულია რობერტსი, რომელიც წლეულს, ალბათ, იმის გამო დააფასეს, რომ ტყუპების დედა გახდა. მეოთხეზე: ჯეიმი ფოქსი, შაკანიანი მსახიობი ფილმიდან "რეი" (ფილმი რეი ჩარლზის ბიოგრაფიას ეფუძნება). მეხუთე: დღეს ამერიკაში, ალბათ, ყველაზე პოპულარული ტელესერიალის Desperate Housewives-ის პერსონაჟი ქალები. სიაში ასევე შევიდნენ: მელ გიბსონი (10), ჯესიკა სიმპსონი და ნიკ ლიჩი (11) და ბრიტნი სპირსი (12).



ბრიტნი სპირსი



შარლიზ თერონი ბოიფრენდთან სტიუარტ ტანშენთან ერთად



ბრედ პიტი და ჯენიფერ ანისტონი ერთად

1992-93 წლებში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მიერ გაცემული ქრადიტების რაოდენობა და პერსონალის (ფიზიკური და იურიდიული პირების) შესახებ ეროვნული ბანკის მიერ 1992-93 წლებში გაცემული სისხები

მლნ. კვ.

Table with 15 columns: N, კომერციული ბანკის დასახელება, სესხის მიმღები, სესხის გაცემის თარიღი, გაცემული სესხის თანხა, სესხით სარგებლობის ვადა, საპროცენტო განაკვეთი, N, კომერციული ბანკის დასახელება, სესხის მიმღები, სესხის გაცემის თარიღი, გაცემული სესხის თანხა, სესხით სარგებლობის ვადა, საპროცენტო განაკვეთი.

1992-93 წლებში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მიერ გაცემული ქრედიტების რაოდენობა და პერსონალის (ფიზიკური და იურიდიული პირების) შესახებ ეროვნული ბანკის მიერ 1992-93 წლებში გაცემული სისხები

მლნ. კვ.

Table with 7 columns: N, კომერციული ბანკის დასახელება, სესხის მიმღები, სესხის გაცემის თარიღი, გაცემული სესხის თანხა, სესხით სარგებლობის ვადა, საპროცენტო განაკვეთი, N, კომერციული ბანკის დასახელება, სესხის მიმღები, სესხის გაცემის თარიღი, გაცემული სესხის თანხა, სესხით სარგებლობის ვადა, საპროცენტო განაკვეთი.

1992-1993 წლებში ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ნებართვები

მლნ.კვ.

Table with 15 columns: N, კომერციული ბანკის დასახელება, სესხის მიმღები, ნებართვის გაცემის თარიღი, ნებართვი გასაცემი სესხის თანხა, N, კომერციული ბანკის დასახელება, სესხის მიმღები, ნებართვის გაცემის თარიღი, ნებართვი გასაცემი სესხის თანხა, N, კომერციული ბანკის დასახელება, სესხის მიმღები, ნებართვის გაცემის თარიღი, ნებართვი გასაცემი სესხის თანხა.



კონცერტები

თავისუფლების მოედანი
ქალაქის მერიისა და "ისტორი პრომოშენის" საახალწლო ღონისძიება
ფოლკლორის თეატრი "ნაბადი"
ლაზერ-შოუ
"ყინულის კოქტეილი"
დას: 23:00 სთ.

კინოთეატრები

კინოს სახლი
"პასკუალინო და 7 ლამაზმანი"
რეჟისორი: ლინა ვერტმულერი
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

რუსთაველი
"ლრუბლებთან თამაში"
დას: 22:15 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 11:00; 13:15; 15:30; 17:45; 20:00 სთ.

ამირანი
"წყალქვეშა სამო"
დას: 16:00; 20:00 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 10:00; 12:00; 14:00; 18:00 სთ.

"ცხრა იარაღი 2"
დას: 22:00 სთ.
ფასი: 4-დან 9 ლარამდე

მცირე დარბაზი
"ბანდები"
დას: 22:00 სთ.

"ზღვისუფლი"
დას: 20:00 სთ.

გამოფენები

ქარვასლა
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატთა გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
სახვითი და დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების საშობაო ფესტივალი

გოთეს ინსტიტუტი
ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

პობი
საშობაო გამოფენა

TMS
ნინო ფერაძის გრაფიკულ ნამუშევართა საშობაო გამოფენა-გაყიდვა

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
"სამკაული და ისტორია"
მოძრავი გამოფენა-გაყიდვა

ქველი გალერეა
თანამედროვე ქართული კულტურა და მხატვრობა

ბავშვთა ნახატების გალერეა
საშობაო-სახალწლო საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგაწოდოთ ინფორმაცია
ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ბის!



თითქმის ერთიანი სინჯის და ჩრდილში დგომის შემდეგ, წინა-სახალწლოდ ერთი კვირით ადრე, ალბომების ამერიკულ ჩარტებში პირველ ადგილზე ისევ ემინემი მოექცა. ასე რომ, მისი ნომერში გამოსული ალბომის - Encore-ის სათაურიდან გამომდინარე, ემინემს თამამად შეგვიძლია, შევუძახოთ: "ბის, ბის!" (Encore თარგმანში სწორედ "ბისს" ნიშნავს) და პირველობა მიველოცოთ.

Encore ალბომის ჩარტებში მესამე ადგილზე იყო, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში, რომელიც 26 დეკემბერს დასრულდა, მისი 430 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა და კომპაქტივ დანაწარმდა.

წინსვლა იგრძნო P2-მაც, თავისი ახალი ალბომით "როგორ გავაუფლებელივო ატომური ბომბი". კრებული 350 ათასი გაყიდული ეგზემპლარით მესამე ადგილზე გავიდა. "დესტინის ჩაილდის" Destiny Fulfilled კი მეოთხეზე.

მოკლედ, ეს ის ალბომებია, რომლებიც ყველაზე სასურველ და პოპულარულ საშობაო საჩუქრებად შეიძლება ჩავთვალოთ.

"ვარსკვლავთბეჭნელი" ბონო

ამერიკიდან ახალგაზრდა მუსიკოსები ბონოსგან ისწავლიან ვარსკვლავადქცევის საიდუმლოს. ირლანდიური სუპერჯგუფის ლიდერმა უკვე დააარსა სკოლა, სადაც ნაკლებად ცნობილი კოლექტივები მოიყრიან თავს. ყველაზე პერსპექტიულებს კი, თავად ბონო შეიფარებს და შეუქმნის კარიერას.

პირველი ლექცია ბონომ უკვე წაუკითხა ისეთ ჯგუფებს, როგორებიც არიან: Scissor Sisters, Razorlight, Snow Patrol და The Killers. მუსიკოსებმა პირველ გაკვეთილზე მოისმინეს გამოცდილი ვარსკვლავისგან, თუ როგორ უნდა მოიპოვონ მსმენელის სიყვარული. "თუკი თქვენ იტყვით, რომ ამერიკელები ჩერჩებენ არიან, ისინი არ მოვლენ თქვენს კონცერტებზე. ესაა მთავარი პირობა. მიიღეთ ეს და შემდეგ იმოქმედეთ ისე, როგორც გსურთ. უთხარ-



ით ადამიანებს კარგი რამ".

მართალია, ეს ლექცია არ მოუხმენია ლათინოამერიკელ ვარსკვლავს - რიკი მარტინს, მაგრამ ამ ადამიანმა, როგორც ჩანს, შორიდან შეიმეცნა ირლანდიელი კოლეგის სიბრძნე. რიკი მარტინი მსოფლიო საზოგადოების წინაშე გამოვიდა წინადადებით, 2005 წელი ბავშვებზე ზრუნვის წელიწადად გამოცხადდეს. ამ მონოდეზით მარტინი ადგილს იკავებს ისეთი ქველმოქმედი ვარსკვლავების გვერდით, როგორებიც არიან ბონო და სტინგი.

რამდენიმე ხნის წინათ, რიკი მარტინი გაეროს გენერალურ შტაბსაც სტუმრობდა; სწორედ იქ წარმოთქვა სიტყვა, თუ როგორ უნდა დაეხმაროს მსოფლიო საზოგადოება ბავშვებს. ამის შემდეგ, მომღერალმა საკუთარი იდეები, პუერტო რიკოში შეხვედრისას, დალაი ლამასაც გაუზიარა.

თქვენი რეკლამა
ჩვენს გარეთში
20-24-04
20-00-24

მიმდინარეობს კავშირ „იდა-ცენტრის“
ლიკვიდაცია, დაინტერესებული პირები
დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 33-25-26

ყურადღება!
სასწრაფოდ იყიდება ძალზე კარგ მდგომარეობაში 1991 წლის "ოპელ ომეგა - უნივერსალი" (ფურგონი) CD - ბრილიანტი. სრული ელექტროპაკეტი, კომპიუტერი, ძრავა 2.0. შინდისფერი. ფასი 4000 დოლარი. ტელ: 899 111616; დათო.

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისების მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება - MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები - MS Excel,
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: გ.უხანძის N70 ტელ: 29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტს, ცისტიტს, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებებს; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსაღიანი ხერხის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამოწვევა; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ. "სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), პეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინო" თვისებები აპრობირებულია და მონონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ ავთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

მზიური
შენ 11 ან 12 წლის ხარ და გაქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის გადაცემაში "ყველაზე კვიანი"?
გაპირე აუცილებლად უნდა შეიძინო გაზეთი "12-მდე", რადგან გხოლოდ აქვენი გაზეთში იბეჭდება ამ გადაცემის მონაწილის ანკეტა!
გარდა ამისა, 12 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს გაზეთი "12-მდე" აძლევს განსვ, მონაწილეობა მიიღოს ვარკიზის დისნეი ლანდის ორი საგზარისათვის გამოცხადებულ კონკურსში, გაიგარკვოს და ჯანმრთის არდადეგები დისნეის საგზაროში გაატაროს.
მაშ ასე, შეიძინე გაზეთი "12-მდე" და ხდება ფლავორული კონკურსისა და ტელეკომპანია მონაწილეობაში.
ყველაზე
კვიანი
Disneyland Paris